**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია**

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №29/6

2022 წლის 14 ივლისი ქ. თბილისი

**„ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოსაცემად საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე**

„ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, 103-ე მუხლის $1^1$ პუნქტის, $106^1$, $106^2$, $106^3$ - $106^5$ მუხლებისა და 177-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ

**გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. დაიწყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოება „ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოსაცემად;
2. „ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის - დადგენილების გამოცემის ბოლო ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2022 წლის 31 აგვისტო;
3. „ელექტროენერგიის გადამცემი ქსელის წესების“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის ნორმატიულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან - დადგენილებასთან დაკავშირებით მოსაზრებების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს 2022 წლის 18 აგვისტო;
4. კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტმა უზრუნველყოს საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ცნობის კომისიის ვებგვერდზე განთავსება;
5. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან;
6. გადაწყვეტილება საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე ცალკე არ საჩივრდება;

7. კონტროლი გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს დაევალოს კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

გოჩა შონია

კომისიის წევრი

გიორგი ფანგანი

კომისიის წევრი

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი